**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 239 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 239

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1 ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ , მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ , მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



წარმოდგენა № 2.

**სახაზინო თეატრი**

ოთხშაბათს, 20 ოკდომბერს, 1904 წ.

ქართულ დრამატიულ დასის-მიერ წარმოდგენილი იქმნება

**ხალხის მტერი**

ანუ

**ექიმი შტოკმანი**

დრამა 5 მოქმ. ჰ. იბსენისა, თარგ. პოდუმორდვინოვისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მზადდება **წარმოსადგენად**: «იულიოს კეისარი», «ახალი მოძღვრება», «ლალატი».

ამხანაგობის დირექცია.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

სამშაბათს, 19 ოკდომბერს,

ვ. ნ. პეტროვა-ზვანცევის გასტროლია,

წარმოდგენილი იქმნება

**ვერთერი**

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა მასსნესი.

**მონაწილეობას მიიღებენ**: ქ-ნნი დონსკოი-ეიხენვალდი, პეტროვა-ზვანცევისა, ზასლავსკისა და სხვ.; ბ-ნნი სიკაჩინსკი, კომაროვი, დემიანენკო, სპერანსკი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჯიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი კაპელმეისტერი ან. ეიხენვალდი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

ოთხშაბათს, 20 ოკდომბერს,

გაიმართება ქართულ დრამატიულ საზოგადოების-მიერ ქართული წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქმნება

**ხალხის მტერი**

დრ. 5 მ. იბსენისა, თარგ. პოდუმორდვინოვისა მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ხუთშაბათს, 18 ოკდომბერს,

წარმოდგენილი იქნება

**ქიზნ ზა ცარია**

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა გლინკასი.

მზადდება პირველად ტფილისში «ნერონი», მუსიკა ა. რუბინშტეინისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

ოქტომბრიდან გამოვა ხელახლად

სასურათო-იუმორისტიკული ჟურნალი

**„ჯეჯილი“**

იმავე პროგრამით და იმავე რედაქტორობით

წლიური გამოცემის ფასი 4 მ., ქალაქ გარედ 5 მან.

დოქტორი მედიცინისა

**გ. ა. ახვერდოვი**

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20.

(30—21).

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова წლ.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დოროშენიჩოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

**სააგარაკო ადგილი**

ზემო ავჭალაში, მირზოევისეულ ბაღში, იყიდება პატარა ნაჭრებად: 100, 200, 300 საჟენობით. საჟენის ფასი 3 მანეთი. მსურველთ მიჰმართონ შიო დავითიშვილს, «ივერიის» რედაქციაში.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

**ნაწერები ს. მესხისა**

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».


## ომის ამბები

### დეპეშები და წერილები.

—

რა ზარალი ვნახეთ იანტაის ბრძოლაში? თან და თან გამოირკვა შედეგი იანტაისა და მდინარე შახეზედ მომხდარ ბრძოლისა 26 სეკდემბრიდან 8 ოკდომბრამდე. გენერალ-ლეიტენანტი ტრეპოვი, რომელიც სასანიტარო რაზმების უფროსია, იწერება, რომ მუკდენიდან ხარბინისაკენ გავგზავნეთ დაჭრილი 775 აფიცერი და 27,887 სალდათი, ავადმყოფი 168 აფიცერი და 3,229 სალდათიო. ამას რომ დავუმატოთ დაჭრილნი და ავადმყოფნი აღმოსავლეთის ჯარებისა, რომელთაც გენერალ კუროპატკინის უმთავრეს არმიასთან კავშირი აქვთ მუკდენით კი არა, არამედ ტელინით, მაშინ ზარალი უნდა ვიანგარიშოთ არა უმცირეს 33,000 კაცისა, რომელთა შორისაც მარტო ოფიცერი ათასი იქნებაო—ამბობს სამხედრო მიმომხილველი გაზეთ «რუსსკია ვედომოსტ»-ებისა. მოკლულთა რიცხვი, მარშალ ოიამას სიტყვით, რუსის ჯარში 8,900 კაციაო და ტყვედ წაყვანილთა 400. ამ სახით გამოდის, რომ ჩვენი ზარალი აღემატება 42,000 კაცსა. ეს ისეთი ზარალია, რომლისთანაც რუსეთს არ უნახავს მთელის უკანასკნელის საუკუნის განმავლობაში. ახლა თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენმა მანჯურიის არმიამ აგვისტოში ლიაოიანთან დაჰკარგა 600 აფიცერი და 23,400 სალდათი, მაშინ წარსულ ორის თვის ბრძოლა დაგვჯდომია ჩვენ 67,000 კაცამდეო. უეჭველია, იაპონელთა ზარალიც აგრეთვე უშველებელია, ასე რომ, ანშაჯანიდან მოკიდებული მდინარე შახემდე, სულ რაღაც 75 ვერსის მანძილზედ, დაანთხიეს თავიანთი სისხლი, სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ, 120,000 კაცმა. თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ ჯერ ეს მხოლოდ ბედის ცდაა ბრძოლის ველზედ. ახლა რამოდენა მსვერპლი შეეწირება ომის ღმერთს—მარსს—მანჯურიაში, როდესაც საბოლოო ბრძოლა ექნებათ მოპირდაპირეებს, ისეთი ბრძოლა, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ომის უმთავრესი აზრი! ასეთი შებრძოლება კი აუცილებელია ამ ახლო მომავალში, როგორც ვიცით მთავარ-სარდლის კუროპატკინის ბრძანებიდან და როგორცა სჩანს იაპონელთა სარდლების მზადებიდგან. (რუსსკ. ვედ.).

—

რამდენად დამოუკიდებელია რუსის მთავარ-სარდალი ომში? ამ წელს გაზაფხულზედ საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენელი სილვესტრი წავიდა მანჯურიაში ომის საცქერად. გენერალი სილვესტრი მეგობარია საფრანგეთის პრეზიდენტის ემილ ლუბესი. როგორც გაზეთ „ბირჟევია ვედომსტი“-ს ატყობინებენ, ეხლახან პრეზიდენტ ლუბეს კერძო წერილი მოსვლია გენერალ სილვე-სტრისაგან, რომელიც იწერება, რომ სულ ტყუილი ხმებია, ვითომც გენერალი კუროპატკინი რითიმე შეზღუდული იყოს თავის მოქმედებაში, ვითომც მას ძალას ატანდნენ ან პეტერბურგიდან, ან ხარბინიდან. პირიქით, იგი სრულებით დამოუკიდებელია და ყოველივე მოქმედება ჯარისა მანჯურიაში მის მიერ საკუთრივ არის განზრახული და მისის ბრძანებით სწარმოებსო. (ბირ. ვედ.).

—

ჩვენი ესკადრა ჩრდილო ზღვაზედ. გაზეთ «რუსსკია ვედომოსტი»-ს საზღვაო მიმომხილველს ბ-ნს ვ. მ.-ს არა სჯერა, რომ ჩრდილო ზღვაში იაპონელების სამხედრო ნაღმოსნები ყოფილიყოს. არც ის არის წარმოსადგენი, რომ იაპონელებს მოესყიდათ მეთევზეთა გემები და მათის საშუალებით ნაღმები გაეფანტათ რუსის ესკადრის გზაზედ. ჯერ ერთი, რომ მიმავალ გემს გასროლილ ნაღმით ვერას დააკლებ, რადგან ნაღმს გაუსწრობს, მაშასადამე, იაპონელნი თავიანთ ნაღმოსნებს ამ აზრით არ გამოჰგზავნიდნენ ევროპის ზღვებში; მეორეც, რომ გზაში გაფანტულ ნაღმებს ადვილად დაინახავდა ესკადრა და ან გზას აუხვევდა, ან მთლიანად ამოიღებდა ზღვიდან, როგორც მოჰხდა ეს ამბავი 28 ივლისის საშინელ ბრძოლის დროს ვეიჰაივეისთან, როდესაც ადმირალი ტოგო გადაელობა ვიცე-ადმირალ ვიტგეფტს. მაშინ ესკადრების ომი გადასწყვიტა ზარბაზნმა და არა ნაღმმა, თუმცა ამათი რიცხვი, გაფანტული იაპონელების მიერ, მრავალი იყო. აშკარაა, რომ ჩრდილო ზღვაში რაღაც გამოურკვეველმა მიზეზმა გამოიწვია ჩვენის ესკადრის სამწუხარო მოქმედება წინაამდეგ ინგლისელ მეთევზეთაო. (რ.ვ.).

—

ჩრდილო ზღვაში მომხდარის ამბის გამო. «დეილი ტელეგრაფის“ თანამშრომელს უბაასნია „მადრიეს“ კაპიტან პიკერთან მეთევზეთა ფლოტილიასთან შეტაკების შესახებ. კაპიტანს უამბნია შემდეგი:

„ოკდომბრის 8-ს, შუაღამისას, იყვნენ ჩვენი გემები ჩრდილოეთ ზღვაში. მთვარიანი ღამე იყო, ხოლო წვრილად წვიმდა და ახლო-მახლო თვალით ვერაფერს გაარჩევდით. მე ვიდექი ბაქანზედ, როდესაც შევნიშნე სამხრეთ-დასავლეთისკენ ცეცხლი. გამიკვირდა და დავაცქერდი. ცეცხლი გვიახლოვდებოდა. უცნობი გემები პირდაპირ ჩვენზედ მოდიოდნენ. როდესაც ძალიან მოგვიახლოვდა, პირველმა გემმა, რომელიც შემდეგ ფლაგმანის გემი აღმოჩნდა, მისცა ნიშანი კონტრ-ადმირალის გემს, რომელიც პირველს მოსდევდა. მე ჩამოვთვალე ორმოცი გემი.

კონტრ-ადმირალის გემის რამდენისამე საპასუხო ნიშნის შემდეგ, მთელის ესკადრის პროჟექტორებმა მოანათა ჩვენს ფლოტილიას. ჩვენ სრულიად თვალთ დაგვიბნელდა. ყველა ჩვენი გემი ისე ძლიერ იყო განათებული, რომ ცხადადა სჩანდნენ ყველა მატროსები თავიანთის ბადეებით. «მადრიე» ორის ვერსის სიშორეზე იყო ესკადრაზე, «კრენი»-ს ერთმა მატროსთაგანმა ხუმრობით აიღო ხელში ორი მსხვილი თევზი და დაუყვირა: «თევზი ხომ არა გნებავთო»! ამ დროს პროჟექტორმა ჩვენ ძალიან გაგვანათა. მე შევნიშნე, რომ ესკადრამ ძალიან უკლო სიარულს, და ვუთხარი ეს შტურმანს. ამის შემდეგ რამდენმამე გემმა დაიწყო სროლა ზარბაზნებიდან, თუმცა წინდაწინ არავითარი გაფრთხილება არ მოუციათ ჩვენთვის. ესკადრა სრულიად შეჩერდა. ყველა სათარეშო გემებმა ნიშანში ამოიღეს ჩვენი პატარა გემები. რამდენმამე ყუმბარამ ძალიან დააზიანა «კრენი». ერთი ყუმბარა ორ კაცს მოხვდა გემის იატაკზე და თავები მოსჭრა. ესენი იყვნენ კაპიტანი ჯორჯ სმიტი და შტურმანი ტომმი სმიტი. «კრენზე» ცხრა მეზღვაური იყო და ყველანი დაიჭრნენ. საბედნიეროდ, გემი „გულლი“ რომელიც „კრენთან“ ახლოს იყო, მოგვეშველა და გადაასვენეს ამ გემზე კაპიტანის, შტურმანის და ექვსის მატროსის თავ-მოჭრილი გვამები. ერთხ გადარჩენილს მოჰგლიჯა ორივე ხელი, მეორეს—გული გაუგმირა ყუმბარის ნატეხმა. ბევრი ეძებს მეცხრე მატროსი, მაგრამ ვერ იპოვეს, უეჭველად ჭრილობის მიღებისთანავე გადავარდებოდა გემიდგან. მოკლულები და დაჭრილები გადაასვენეს «სარა-მაილსის» გემზე. ამის შემდეგ «კრენი» სრულიად ჩაიძირა. ჩვენი მეზღვაურები ძალიან გაafთრდნენ და აღარ იცოდნენ, რა ექნათ. რუსები ისროდნენ განუწყვეტლივ ოც წუთს. გასაკვირველი ის არის უფრო, რომ ესკადრა არ უნდა შემცდარიყო იმის შემდეგ, როცა პროჟექტორებმა გაანათა ჩვენი პატარა გემები. ცხადადა სჩანდა ჩვენი ხალხი და ბადეები. ჩვენ საერთაშორისო უფლებისაგან დადგენილ ნიშნებს ვაძლევდით — თეთრს, წითელს და მწვანე ფანრებს, ასე რომ, შეცდომა შეუძლებელი იყო. სროლის შეწყვეტის შემდეგ ადმირალის გემმა ნიშანი მისცა და ესკადრაც მთელის თავის სისწრაფით გაუდგა გზას. პიკერი ჰფიქრობს, რუსის ადმირალმა წარმოიდგინა, რომ შეხვდა იაპონიის ფლოტს. უსათუოდ ადმირალი მიხვდა თავის შეცდომას და ამიტომ მსწრაფლ გაუდგა გზას. ყოველს შემთხვევაში, მისი მოვალეობა იყო ნავები გაეგზავნა ხალხის გადასარჩენად». (რუს. სლ.).

—

გასართობი მიწერ-მოწერა. «რუსკოე სლოვოს» ოკდომბრის 16-ს ბ-ნი ნემიროვიჩ-დანჩენკო დეპეშით ატყობინებს: «მოწინავე პოზიციებზე არის რამდენიმე სოფელი, რომელიც გადადმოდის ხან ჩვენსა და ხან იაპონელების ხელში, როგორც, მაგალითად, სოფელი სემიუჯენი, რომელიც მდებარეობს ერდაგაუს მთის სამხრეთით. ამ სოფელში გამაგრებულიყვნენ იაპონელები; ამათზე მიიტანა იერიში თავ-გამოდებულთა რაზმმა, პორუჩიკ პატკანოვის მეთაურობით, დიდი ზიანი მიაყენა იაპონელებს და უკან დააწევინა. მალე იაპონელებს მოეშველნენ და პორუჩიკი პატკანოვი იძულებული გახდა, უკან დაეხია. ამის შემდეგ ეს სოფელი ხელიდან ხელში გადადიოდა. ბოლოს დროს, როცა პატკანოვმა მიანება თავი სოფელს, მან დასტოვა ჩინელის სახლში, სადაც ის იდგა, შემდეგის შინაარსის ბარათი: «ჩემთვის სასურველია ვიცოდე იმ იაპონელ ოფიცრის სახელი, რომელიც ღამე ჩემს მოადგილეობას სწევს». დილით, როდესაც სრულიად დაპყრობილი ჰქონდა ოფიცერს სემიუჯენი, მან თავისს ბარათზე აღმოაჩინა შემდეგის შინაარსის მინაწერი: «პორუჩიკ იამატას ძალიან ეინტერესება პატივცემულ პორუჩიკ პატკანოვის გაცნობა».

## ახალი ამბავი

—

**ახალი სახალხო გამოცემა.** «თავად-აზნაურთა სკოლის ღარიბ მოწაფეთა სამზრუნველო კომიტეტს» განუზრახავს საშობაოდ გამოსცეს ალბომი პაწაწინა (1 წლ. 7 წლ.) ბავშვებისა, სახელად «ქართველ ბავშვების ტიპები». ამ საქმისთვის სამზრუნველო კომიტეტს გადაუწყვეტია მოიწვიოს მცოდნე კაცები ამ მოკლე ხანში. ალბომი გაიყიდება „საყმაწვილო სასადილოების“ სასარგებლოდ. იმ მშობლებს, რომელიც ინებებენ, რომ მათის ბავშვების სურათები მოჰხვდეს ალბომში, ვთხოვთ გამოგზავნონ თავიანთ ბავშვების ფოტოგრაფიული სურათები წარწერით: 1) როდის არის დაბადებული; 2) გვარი და სახელი ბავშვისა (შინაობაში რასაც ეძახიან და ნათლობის სახელიც); 3) თუ დასაბრუნებელია ეს სურათი, დააწერონ ზედ «დასაბრუნებელია» და უკანვე გავუგზავნით. სურათები შეიძლება გამოიგზავნოს ალექსანდრე ნათაძის სახელზე ამ ადრესით: Тифлисъ, Дворянская Школа, Александру Ивановичу Натадзе.

*** **ქართული წარმოდგენა.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ხვალ, 20 ოკდომბერს, სახაზინო თეატრში, ქართულ დრამატიულ დასის მსახიობნი წარმოადგენენ «ხალხის მტერს», ანუ «ექიმ შტოკმანს»; პიესის კარგი ღირსება და მსახიობთა მომზადება სრული თავმდებია იმისი, რომ ჩვენი საზოგადოება მრავლად დაესწრება წარმოდგენას. ამ საღამოსთვის დანიშნული იყო წარმოსადგენად

შექსპირის 5-მოქმედებიანი ტრაგედია «იულიოს კეისარი», მაგრამ რადგანაც ამ პიესისათვის დიდი მომზადებაა საჭირო, ამიტომ შემდეგისათვის გადასდეს.

⁂ **ხოლერა.** ოფიციალურის ცნობებით, 14 ოკდომბერს ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა 3 კაცი. 15 ოკდომბერს ხოლერით ავად არავინ გამხდარა და არც წინანდელ ავადმყოფთაგან მომკვდარა ვინმე. ამ ბოლო ხანებში ბაქოში ხოლერა თანდათან სცხრება.

⁂ **ფუნიკულერის გაყვანის** შემდეგ მოსალოდნელია, რომ მამადავითის გორაზე სახლები აშენდება. საგუბერნიო გამგეობამ კარგა ხანია შეადგინა გეგმა ამ ადგილის გაშენებისა. ეხლა გუბერნატორმა უბრძანა პოლიცმეისტერს და ტფილისის მაზრის უფროსს, უგეგმოდ არავის არ მისცენ ნება სახლი ან სხვა შენობა ააგონ.

⁂ **ტფ. ხარჯთ-აღრიცხვა.** ტფილისის ქალაქის გამგეობამ 15 ოკდომბერს დაამთავრა განხილვა მომავალ 1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა. როგორც აღვნიშნეთ, ქალაქს მომავალ წელს დიდი დეფიციტი მოელის. ამის გამო, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გამგეობამ შეამცირა ხარჯები, მაგრამ მაინც მოსალოდნელია 63,000 მანეთის დეფიციტი. ამიტომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გადიდებულ იქმნას $^1/_8$ კაპეიკით დასაფასებელი გადასახადი.

⁂ **პოლიციელის მოკვლა.** 15 ოკდომბერს პოლიციის მე-6 ნაწილში მოჰკლეს პოლიციელი ხამიტოვი. ხამიტოვი ამ დღეს, საღამოს 9 საათზე, სურფ-სარქისის ქუჩაზე, ზაზო ენათაშვილის დუქანში მჯდარა. იმავე დუქანში შესულა ბორჩალოს მაზრის მცხოვრები შიო მიქაძე და, რაღაც მიზეზისა გამო, ხამიტოვთან ჩხუბი მოსვლია. მიქაძეს ბებუთი დაუკრავს და სასიკვდილოდ დაუჭრია პოლიციელი. დაჭრილი მაშინვე მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს, სადაც მოკვდა კიდეც. დამნაშავე დააპატიმრეს.

⁂ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი ქართული წიგნი «დემონი», ოპერა-ფანტაზია 3 მოქმ., ა. რუბინშტეინის მუსიკაზედ შეწყობილი, ლერმონტოვის «დემონიდან» გადაკეთებული ოპერისათვის პ. ა. «ვისკოვატოვის» მიერ, თარგმანი კლდიასი. წიგნი შეიცავს 59 გვერდსა და ღირს ათ შაურად. წმინდა შემოსავალი ამ წიგნისა გადადებულია «ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების» სასარგებლოდ.

⁂ **მადლობის გამოცხადება.** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: «თავად-აზნაურთა სკოლის ღარიბ მოწაფეთა საზოგადოების თავმჯდომარე კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა გულითად მადლობას უძღვნის კნეინა მაკინე ამირაჯიბისას, რომელმაც დაბა ცხინვალში გამართულ წარმოდგენით შემოსულ ფულიდგან 25 მანეთი გამოგზავნა სკოლის სასარგებლოდ».

⁂ **კენჭის ყრა.** ტფილისის ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულოში კენჭის ყრა გათავდა კვირას, ნაშუადღევის 1 საათზე. გუშინ, 18 ოკდომბერს, ექიმებმა შეამოწმეს ბეგრის მოსახდელად გაწვეულნი ყმაწვილნი კაცნი. ახლად ჯარში გაყვანილნი ყმაწვილნი ყველანი შიდა რუსეთის პოლკებში ჩაირიცხებიან, ებრაელები კი—იმიერ კასპიის ოლქში.

⁂ **შემოწირულობა.** რედაქციას მოუვიდა 6 მანეთი «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის» გადასაცემად, შემოწირული შლისსელბურგის მე-15 ქვეითა პოლკის პოდპორუჩიკის ს. ენუქიძის-მიერ.

⁂ **ფოსტის განყოფილებათა დაარსება.** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, მომაწოდეთ ცნობები იმ სოფლის სამმართველოთა, სადაც, ვოლოსტებად გადაკეთების შემდეგ, საჭიროა ფოსტის განყოფილებათა დაარსებაო.

⁂ **მონასტრის გაძარცვა.** იოანნე ნათლის-მცემლის მონასტერს, რომელიც გურია-სამეგრელოს ეპარქიაშია, დაესხნენ ვიღაც ბოროტ-მოქმედნი, გასტეხეს უფროს ბერის სახლი და მოკვლასაც უპირებდნენ, მაგრამ ბერს თავი დაუღწევია. ბოროტ-მოქმედთ წაუღიათ 15 მანათის ნივთები. (ც. ფ.).

⁂ **ხატის მოპარვა.** როგორც იმავე გაზეთს გურიიდან ატყობინებენ, ვიღაც ქურდებს მოუპარავთ ლომის-კარელის ძვირფასი ხატი (სურებშია).

⁂ **მკვლელობა.** სოფ. მათხოჯიდგან (ქუთაისის მაზრა) გვატყობინებენ, რომ იქ ვიღასაც რევოლვერით მოუკლავს საზოგადო სასოფლო დუქნის ნოქარი იოანე ჯალაღანია.

⁂ **სასოფლო-სამეურნეო ბანკი.** 14 ოკდომბერს ყვირილის თეატრში მოჰხდა საზოგადო კრება «ყვირილის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა; კრებამ ამოირჩია გამგეობის წევრებად შემდეგნი: ი. გუნცაძე (აგრონომი), თეოფ. ნანეიშვილი (პროვიზორი) და ივლიანე არდიშვილი (კომერსანტი) და ექვსი წევრი საბჭოსი. მთელის წლის ხარჯი ბანკის გამგეობისა და სხვ. გამოანგარიშებულია 2,500 მან. ძირითადი თანხა 12,000 მან. აღემატება. საზოგადოება ბანკს დიდის თანაგრძნობით ეკიდება. ბანკი მოთავსებული იქმნება თეატრის შენობაში, რომელიც განგებ ამისთვისაა აგებული. ოპერაციებს ბანკი 1-ლ ნოემბრიდგან დაიწყებს.

⁂ **უწესრიგობა ქუთაისის ბაზარში.** წელს ყურძნის მოსავალმა ერთი ორად მოიმატა, შედარებით გასულ წლების მოსავალზე, მაგრამ ფასი კი ძლიერ დაეცა; შარშან თუ საშუალო ყურძნის საშუალო ფასი იყო 1 მ. 40 კ.—1 მ. 60 კ., წელს საუკეთესო ყურძენი იყიდება 70—80.; ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ ყურძენს გასავალი არა აქვს,—საქმე სულ სხვანაირად არის: დადგენილი იყო და არის, რომ თორმეტ საათამდე მცხოვრებთ იყიდონ თავიანთი საზრდო, მერე კი—ვაჭრებმა; ბაზრის თვალყურის მდევნელი არავინაა, რომ სოფლიდგან შემოტანილ სანოვაგის ყიდვა-გაყიდვაზედ რაიმე წესი არსებობდეს. აგერ ორ თვეზე მეტია, რაც ბაზრის ზედამხედველი არის ასარჩევი და დღესაც ვერ აურჩევიათ. ბაზარი სულ მთლად უთვალყუროდ არის მიტოვებული. ვის რა ენაღვლება! გადიან ვაჭრები ბაზარში და ყიდულობენ უდროო დროზედ ყურძენს ისე, როგორც სურთ. შეჰკრეს პირი, რომ იაფ-ფასად იყიდონ და ნაამაგევმა საწყალ სოფლელს უქმად ჩაუაროს... კარგი იქმნება, თუ ქუთაისის ბაზარს ერთი «ბაზარნიკი» მოევლინება!

**შეცდომათა გასწორება.** «ივერიის» № 238-ში დაბეჭდილი იყო, შორეულ აღმოსავლეთის ბრძოლაში მოკლულ იქმნა, სხვათა შორის, „პოდპორუჩიკი მიხეილ ავქსენტის ძე ანჯაფარიძეო“. იგი მოკლულთა სიაში კი არ არის, არამედ დაჭრილთა სიაშია მოქცეული.

—

იმავე №-ში, «ომის ამბების» განყოფილებაში, შემდეგი დიდი კორექტურული შეცდომებია: დაბეჭდილია «ცხონებულნი სულ ერთიან გაქლიტეს», უნდა იყოს: «ცხენები ხომ სულ ერთიან გაჟლიტეს»; დაბეჭდილია «ჩვენში ინჟენრებმა», უნდა იყოს — «ჩვენმა ინჟენრებმა» და სხვა.

## საქართველო

**ლეჩხუმი.** † თავ. დავით ჩიქოვანი. 28 მარიამობისთვეს აქ უეცრად გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული ოთხმოცდა ათის წლის თ-დი დავით სალიკის ძე ჩიქოვანი. თუმცა ოთხმოცდა ათი წლის იყო, მაგრამ მისი სასიამოვნო შეხედულება, საოცრი ტანის შენობა და ცოცხალი სახე სამოცსაც არ მიიწერდა. ჩიქოვანს კარგად იცნობდა სამეგრელოს საზოგადოება, როგორც თავის დროზედ მოსაწონ მხედარს და ნამსახურს სამეგრელოს მთავრის სასახლეში სახლთ-უხუცესის თანამდებობაზედ. ზედ მიწევნით იცოდა სამღვთო მწერლობა და ვახტანგ მეფის სჯულის დება და იყო მოსწრებული, სიტყვა წყლიანი და უცხოდ გადმომცემი ძველის ამბებისა. რუსთა მთავრობაც პატივსა სცემდა. ყველაზედ უფრო საყურადღებო მის ცხოვრებაში იყო მისი დამოკიდებულება გლეხებთან. მათთან ჰქონდა განწყობილება მამა-შვილური, ძმური და ამხანაგური, რაც დამოწმდა ამავე გლეხების ცრემლებით. მრავალი საზოგადოება დაესწრო განსვენებულის დასაფლავებას, და, სხვათა შორის, მაზრის მარშალი და სხვა წარჩინებულნი წარმოითქვა მგრძნობით სავსე სიტყვებიც.

**ფოთი.** მეძავის ქალის მოკვლა. პარასკევს, 15 ამ თვეს, აქაურ საროსკიპოში შემდეგი მკვლელობა მოჰხდა: ადგილობრივ პოლიციის მდაბალ მოხელეს (გარადოვოის) ნოე ნ—ას ნაშუადამევს საროსკიპოში რევოლვერით მოუკლავს მეძავი ქალი. შემდეგ მას თავის მოკვლა განუზრახავს და რევოლვერი გულში დაუცლია; მძიმედ დაჭრილი ნ—ა დაუყოვნებლივ საავადმყოფოში წაუყვანიათ. ამბობენ, რომ მისი მორჩენა საეჭვო არისო. მიზეზი მკვლელობისა ჯერ არავინ იცის.

## ჩვენებური რამე-რუმე

ცოტა რამ «დრამატიულ მდგომარეობაზე».

ჩვენს გაზეთში, სხვათა შორის, ახალ-ამბად დაბეჭდილი იყო, რომ დრამატიული საზოგადოება საგანგებო კრებას ჰნიშნავს, რადგან იგი „დრამატიულ მდგომარეობაში“ არის ჩავარდნილიო... მეტად მწარე ოხუნჯობაა!

ვინ ჩააყენა დრამატიული საზოგადოება „დრამატიულ მდგომარეობაში“?—რა თქმა უნდა,—მის პატრონ-ბატონმა, აწ გადამდგარმა გამგეობამ, რომელმაც სამის წლის განმავლობაში «იმდენი იღვაწა», რომ საზოგადოებას თავს მოახვია ათას თუმნამდე ზარალი!

წინადაც მომხდარა ესა, სხვა გამგეობასაც მოსვლია ზარალი, მაგრამ ეგ ზარალი არას დროს არ გადასცილებია ორას თუმანს. ვინ ამბობს, რომ თეატრის საქმის წარმოება, და ქართულისა ნამეტნავად, შესაძლო იყოს უზარალოდ, მაგრამ ზარალიც არის და ზარალიცა!

ათასის თუმნის ზარალი მეტის-მეტად დიდი ზარალია და საქმის მოთავეთა სრულს უზრუნველობასა და დაუდევრობას ჰმოწმობს. მართალია, პირველ ხანებში, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, «საზარალო გამგეობას» თეატრის საქმე ახალგაზდურის სიმკვირცხლით და შეთანხმებულის ენერგიით მიჰყავდა და აკი საზოგადოება და მწერლობაც მადლიერი იყო, მაგრამ უკანასკნელი დრო და მეტადრე ბოლონდელი სეზონი ისე აირდაირია, ისე დაიხლართა ყოველმხრივ, რომ ძაღლი პატრონს ველარ იცნობდა!...

დაუდევრობა და უზრუნველობა, ინტრიგა და შენ-ჩემობა, ფავორიტობა და ნეპოტიზმი—ერთის სიტყვით, ყოველივე ის, რაც საქმეს მატლივით ჰხრავს და ჰღრღნის, დაუსჯელად ფართაშობდა ჩვენს სცენაზე!..

რა თქმა უნდა, შედეგმაც მალე იჩინა თავი. ყოველისავე ამის მიზეზი, ჩვენის აზრით, ის იყო, რომ გამგეობის წევრნი არ იყვნენ ერთად შედუღებულნი, ზოგი ალთას გარბოდა, ზოგი ბალთას, და რაკი ურთიერთობა დაირღვა, საქმეც უნდა ჩაფუშულიყო და ასეც მოხდა; თუმცა ყოველივე გარეგანი გარემოება ხელს უწყობდა საქმის კეთილად დამთავრებას: დიდი და მშვენიერი დასი, გახშირებული წარმოდგენები ბევრს უქმე-კვირა დღეებში, დარიგებული აბონიმენტი და სხვა მრავალი...

ბევრნი, ქართულ თეატრის გულ-შემატკივარნი, წარსულ წარმოდგენის გამო მწარე ფიქრს მიეცნენ—რატომ ხალხი არ დაესწრო სეზონის დაწყებასაო?... ჩვენ რომ გვკითხოთ, ხალხის დაუსწრებლობა სწორედ ლოღიკური შედეგია შარშანდელის სეზონის უბადრუკობისა; საზოგადოებას გული გაუტყდა და ნდობაც დაეკარგა და ნულარც გვიკვირს, რომ წარსულ ოთხშაბათის წარმოდგენაზე სახაზინო თეატრი თითქმის ცარიელი იყო.

ახალს გამგეობას დიდი შრომა და გამჭრიახობა ჰმართებს, რომ გამარჯვებით გამოვიდეს იმ წუმპედან, იმ «დრამატიულ მდგომარეობიდან» რომელშიაც ჩავარდა, მაგრამ ეგეც კია—რაც უნდა საქმიანობა, ფხა და უნარი გამოიჩინოს ახალმა გამგეობამ, მარტოდ ვერას გახდება, თუ ერთი-ერთი სათანადო დაწესებულება არ დაეხმარა, მაგალითად ბანკი, ანუ თავად-აზნაურობა, ან კიდევ ამა თუ იმ შეძლებულის კერძო კაცის მადლიანი მარჯვენა.

თუ სკოლა ზრდის ყრმათა, და თუ მისთვის ასე თავდადებულია დიდი და პატარა, თეატრი ხომ აღვიძებს და ავითარებს ხალხს, ერს... ამიტომ აუცილებლად საჭიროა დავიხსნათ ეს სასარგებლო დაწესებულება „დრამატიულ მდგომარეობიდამ“.

სკვითი.

## რუსეთი

მთავრობას განზრახვა აქვს უფრო ფართო გზა მისცეს დედა-კაცთ და მეტი მონაწილეობა მიაღებინოს საერო განათლების საქმეში. ამ აზრით მთავრობა ჰფიქრობს მალე დაარსოს დედათა საოსტატო სემინარიები.

— იმათ შორის, რომელნიც ლექციებს უკითხავდნენ სათნოების დებს მოსკოვში, დაიბადა ის აზრი, რომ შეიმუშავონ ასეთი საგანი, შესაძლოა თუ არა, რაც შეიძლება მალე, დაარსდეს მოსკოვში დედათა სამკურნალო ინსტიტუტი ანუ კურსები.

— მალე შეიმუშავებენ ახალს სამეურნეო წესდებას.

— პეტერბურგში არსდება ფინების სამუსიკო საზოგადოება. წესდება უკვე დაუმტკიცებია მთავრობას.

— ქალაქ პეტერბურგს სხვა და სხვა მიზეზით, უფრო კი დაუდევრობით, დაუკარგავს დიდ-ძალი საძოვარი მამული, თითქმის 50.000,000 მანეთისა.

— პეტერბურგში არსებული კომიტეტი, რომელსაც აზრად აქვს დაეხმაროს ყმაწვილ-კაცთა და ქალთა ზნეობრივსა და ფიზიკურს განვითარებას, მალე შეუ-

## ფელეტონი

### სადღეისოდ.

მწერლობას არ ეპატიება.—რას აკეთებენ აკადემიელები?—ჯეჯილი, თუ ნაკადული? ქართული ფილარმონია ზოგიერთის თვალით.

დედა-მიწის ზურგზე, არა ვგონებ, მოიპოვებოდეს ისეთი ქვეყანა, სადაც მოღვაწის სახელი ისე ადვილ საშოვარი იყოს, როგორც ღვთივ ცხონებულ ამ ჩვენ საქართველოში. კმარა, ერთხელ ვინმემ გაჰყიდოს სამადლო წარმოდგენის თუ საღამოს ბილეთი, ან ხელის მოწერა გამართოს რომლისამე გაჭირვებულის მოწაფის დასახმარებლად და ან პატარა წერილი დაბეჭდოს ქართულ ჟურნალ-გაზეთობაში, რომ უწოდონ და იმანაც თავის თავს უწოდოს მოღვაწე. მავიერ კი ზოგიერთი ნამდვილი მოღვაწე ცხოვრებითაც და სიკვდილითაც ყველასაგან მივიწყებულია, ხოლო ყალბი არა თუ უფრო ბევრს ლაპარაკობს, ვიდრე საქმეს აკეთებს, არამედ სხვასაც ალაპარაკებს.

ეს მომაგონა განსვენებულ პ. ყვიცარიძისა და ე. ლამბაშიძის საპედაგოგიო მოღვაწეობამ, რომელსაც ბ-ნმა ილია ფერაძემ ამას წინად ივერიის კაბადონზე მოსაგონებელი წერილი უძღვნა. რასაკვირველია, კეთილის ადამიანის მოგონება, ისიც მოღვაწისა, არასოდეს დაგვიანებულად არ ჩაითვლება და ამ შემთხვევაში მისი მიზეზი უნდა იყოს ერთის მხრით მადლობის გრძნობა ნამოწაფარის ადამიანისა, როგორც თვითონ წერილის ავტორი ყოფილა, და მეორის მხრით გრძნობა საზოგადოების, მეტადრე ჟურნალ-გაზეთობის უმადურობისა, რადგანაც ამ უკანასკნელს სიჩუმე, განზრახ იქმნება თუ გულ-მავიწყობისაგან, არ ეპატიება.

განსვენებული პ. ყვიცარიძე მარტო ქართულის ენის მასწავლებელი კი არ ყოფილა, არამედ სულით და გულით მოწადინებული იყო ამ ენით სწორმეტყველების შესწავლებასაც, რისთვისაც ცალკე წიგნიც კი შეადგინა ამავე სახელწოდებით; მაგრამ მისი მოღვაწეობა, როგორც მასწავლებლისა და როგორც ქართულის გრამატიკის დამწერისა, არა თუ დაფასებული, არამედ მოუგონებელი დარჩა და მისი სიკვდილი ხომ საზოგადოებისთვის უჩინარი შეიქმნა. რა იყო ამის მიზეზი? სულ უბრალო რამ. მეგობრობას განსვენებული პატივისცემით და დიდად შესარგი სმაჭამით არ ზომავდა, რომ მოღვაწის სახელი დაემსახურებინა და ქართველ მწერლობას სხვაგნებურ ნასწავლობის ქადილით არ აფასებდა, რომ მწერლად გათქმულიყო. აკი მიტომაც უბადრუკ წუთისოფელს ისევე შეუმჩნევლად განშორდა, როგორც შეუმჩნეველი იყო მისი მოვლინება. განსვენებულმა ე. ლამბაშიძემ კი, რომელიც პ. ყვიცარიძის არ იყოს, საშუალო სასულიერო სწავლის პატრონი იყო, მოწაფეებს თავი შეაყვარა ადამიანობით, რაიც;, სამწუხაროდ, ბევრ მასწავლებელს აკლია.

⁂

რაღას აკეთებენ ქართველები, რომელთაც მაღალი სასულიერო სწავლა მიუღიათო, შეიძლება, იკითხოთ. უთუოდ არაფერს, რადგან გრძნობა საყვედურისა ბ-ნ ილია ფერაძის წერილში იმათაც მოხვდა. კიდეც დაეჯერება, თვითონ აკადემიელია და მოძმეთა ავკარგი უკეთ უნდა მოეხსენებოდეს. მათი მოქმედება ერთობ ცხადია. ჩვენის ქვეყნის შესწავლას ზოგი მათგანი საკანდიდატო ან სამაგისტრო თხზულების დაწერით ასრულებს და მერე ხელის-უფლად შედის სადმე სახელმწიფო სამსახურში, ან ღვდლად მიდის. ხოლო თუ საქართველოს ეკკლესიას ჰქონია თავისებური აგებულება, ჩვენი ცხოვრების ყაიდაზე გამოჭრილი, მდიდარი მწერლობა და მდიდარიც ყოფილა დიდბუნებოვან მამა-მთავრებითაც, თუ ამის შესწავლა და გავრცელება საეკკლესიო კრებულებში და მორწმუნეთა შორის საჭიროა თვითონ ამ ეკკლესიის სიმტკიცისათვის, ამას არ დასდევენ. ამიტომაც საზოგადოებრივი აზრი, რომელმაც, არა თუ სული უნდა ჩაუდგას ამ ეკკლესიას, არამედ კიდეც განამტკიცოს და თავისი უპირატესობა, ღირსება და სიმართლე შეაგნებინოს, ვამბობ, ასეთი აზრი ქართველ სამღვდელოებაში ისეთივე იშვიათია დღესაც, როგორათაც იშვიათი იყო საზოგადოებრივი აზრი ქართველ ერის-კაცთა საზოგადოებაში ორმოცდა ხუთიოდე წლის წინეთ. მაგრამ მოღვაწე ერის-კაცებმა ისეთი ნიადაგი მოამზადეს, რომ ზედ დავარდნილი კეთილი თესლი არა თუ აღორძინებაში შედის, ნაყოფიც კი გამოაქვს. ეკკლესია შენობას კი არ ნიშნავს მარტო, თუმცა იმის ქართულად აგებასაც აღარ დავდევთ, მეტადრე სოფლებში, სადაც არა ნაკლებ საჭიროა, იგი წარმოადგენს კრებულსა, მორწმუნეთა საზოგადოებას, რომლის შემავალნი არიან სასულიერონი და მათი სამწყსო მრევლნი. მაშასადამე იგია ორგანიზმი, რომელსაც სული უდგია და არსებობისათვის თავისი განსაკუთრებული თუობა აქვს. ვიდრე ეს თუობა მისი ბუნების შესაფერია, იგიც ცხოვრებს, ხოლო როგორმე თუ მოესპო, ან გამოეცვალა, იგიც ან მოისპობა, ან გამოიცვლება რამდენად სასურველია?

⁂

კიდევ არიან მოღვაწენი, რომელნიც ყმაწვილთაობის აღზრდას ემსახურებიან, მხოლოდ კალმით, ესრეთ წოდებულნი საყმაწვილო მწერალნი. აქამომდე ამათი ერთად ერთი ორგანო იყო ჯეჯილი, მაგრამ ამათი რიცხვი მცირეოდენი უნდა ყოფილიყო, თუ საწყაოდ ამ ჟურნალის თანამშრომელთა რაოდენობას ავიღებთ. ეხლა, რა კი მეორე საყმაწვილო ჟურნალის ნაკადულის ნებართვა გამოვიდა, მითივე დამტკიცდა, რომ საყმაწვილო მწერალთა რიცხვი საკმაო დიდი ყოფილა. ახლად მოვლინებულნი არიან ეს მწერალნი, თუ დამსახურებულნი? ხოლო თუ უწყებულ მწერალთა ჯგუფს ეკუთვნიან, უნდა ვიფიქროთ, რომ მათი ყოფა იმ ორგანოს გარეშე აიხსნება მისივე ათვალწუნებით. რამდენად გამძლე და ღირსებიანი იქნება ნაკადული, ამას მომავალი დაგვანახვებს. ყოველ შემთხვევაში დღეს დაგვბადებია საყმაწვილო მწერალთა ორი გუნდი, რომელსაც უკისრია ჟურნალების გამართვისა და გამოცემის საქმე. ჯეჯილი და ნაკადული ჩვენის ყმაწვილთაობისათვის მეტი არ იქნება, თუ თავიანთი დანიშნულება შეასრულეს: ჯეჯილი ნაკადულობას არ მოინდომებს და ნაკადული კიდევ ჯეჯილობას. თუ ბუნებაშია საჭირო, რომ ჯეჯილის აღორძინებისათვის ნაკადულიც მოჩუხჩუხებდეს, ვეცადოთ, საყმაწვილო მწერლობაშიაც ნაკადული ხელის შემწყობი იქმნას ჯეჯილისათვის. ეს კი მოხდება მაშინ, როცა ნაკადული საყმაწვილო ჟურნალის პროგრამას უკუაგდებს და გადიქცევა პირდაპირ საყმაწვილო მოთხრობათა კრებულად. თორემ თუ გამოცხადებულის პროგრამმით გამოვიდა, მაშინ მკითხველნი არჩევან-არადანს მოჰყვებიან, ხოლო პატრონებს აღეძრვისთ მოშურნეობისა და მოცილეობის გრძნობა და ერთი-ერთს მათგანს, რა საკვირველია, უფრო სუსტს ორგანოს, ბოლო მოეღება. ორთავ ჟურნალის რედაქციებს კი, ყოვლის უწინარეს, მართებსთ, ყურადღება მიაქციონ და, რაც შეიძლება, ბლომად შეი

დგება ლექციების კითხვას. ლექტორთა შორის არის აკადემიკოსი ი. რ. თარხნიშვილიცა.

— დაიწყო მოქმედება ახლად დაარსებულმა მმართველობამ წვრილის კრედიტის საქმეთათვის.

## თეატრი და ხელოვნება

**სახაზინო თეატრი.** ოპერა. შაბათს, 16 ოკდომბერს, ბ-ნმა დონსკოიმ მეორე სადღესასწაულო წარმოდგენად ტფილისის საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი ოპერა დასდგა—«ვერტერი»—ფრანგ კონპოზიტორის მასსენესი.

დიდებულ გიოტეს რომანტიული რომანის გმირი მასსენეს მუსიკით ვერ არის სათანადოდ დახასიათებული. ტანჯვა-კაეშანი ვერტერისა რომანში ლირიკული ტაჯვა-ვაებაა, თუ შეიძლება ასე ითქვას,—სანტიმენტალურია. ასეთი ელფერი სდევს მხოლოდ პრელიუდიას ოპერისას, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, პირველ მოქმედებისას და თვით ამ მოქმედებას. დანარჩენ მოქმედებებში-კი დრამატიზმი უფრო რიხიანის იერისაა, ისიც მხოლოდ ორკესტრის დასაკვრელ ჰანგებში. ამ ოპერაში ორკესტრს დიდად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რადგანაც თითოეულ სასიმღერო წინადადებას თან მოსდევს მუსიკალური დახასიათება ორკესტრისმიერ მოქმედთა სულიერ ვითარებისა და ორკესტრი ხშირად დამოუკიდებელ სურათსაცა ჰქმნის, მაგალითად, ინტერმეცო პირველ მოქმედებისა, რომელიც ასურათებს შემოღამებას. უმთავრეს გმირთა პარტიები ოპერაში როგორღაც უელფეროა, ჰანგთა წყობილება თავისებურია, მაგრამ ამ თავისებურობას აკლია ცხოველმეტყველება.

მოწყობილია ოპერა კარგად. მხოლოდ უმთავრეს პარტიების აღმასრულებლებმა ვერ დაგვაკმაყოფილა. ბ ნი სიკაჩინსკი მეტის-მეტად ერთკილოვანად მღერის, ხმათა აღმოზიდვის კონტრასტები სულ არა აქვს შემუშავებული, ჰანგთა გამომეტყველებას ვერ განასხვაფერებს ხოლმე და ამიტომ მისი სიმღერა მეტის-მეტად მოსაწყენია, განსაკუთრებით თუ მიიღებთ მხედველობაში, რომ მომღერალს მკაფიო დიქცია არა აქვს. ქ-ნ პეტროვა-ზვანცევისას აკლია ჰაეროვნება შარლოტასი და ხმაშიაც რაღაც სიმძიმე ეტყობა. ძლიერის დრამატიზმით აღსავსე ადგილებში ქ-ნი პეტროვა მეტის-მეტად ჰკივის, რის გამოც სიტყვასა და ჰანგს მნიშვნელობა ეკარგება.

კარგები იყვნენ: ქ-ნი ეიხენვალდი ცქრიალა სოფიას როლში და ბ-ნნი სპერანსკი, დემიანენკო და ზალინსკი თავიანთ პატარა როლებში. ბ-ნის კომაროვის სიმღერა რაღაც უცნაურია: თითქოს ხმა აქვს ამ მომღერალს, მაგრამ ისე მიგრეხმოგრეხით აღმოეზიდება ამ ხმას ყანყრაიგან, გეგონებათ, ვიღასაც უჭირავს წარმით და არ უშვებსო.

...ნას ხალხი ბლომად დაესწრო.

ი.

—

**ქართული** ...მოდგენა ყვირილაში. 14 ოკდომბერს, ...ლ. მესხიშვილის მონაწილეობით, ამხანაგობი... ...ეატრში წარმოდგენილი იქმნა „ცხოვრე... გარეშე“ დაკლებულის ფასებით. საზოგ...ოება ბლომათ დაესწრო, ქანდარა მთ...ლ სავსე იყო, წარმოდგენამ მწყობრად ჩა... არა და დიდის აღტაცებითაც მიეგებნენ, რადგან პიესამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზედ. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ერთი ფრიად ურიგო საქციელი ზოგიერთ ვაჟბატონებისა: მიუხედავათ იმისა, რომ ფასები ძლიერ დაკლებულია—სკამები 10 კ.—1 მ. 30 კაპ.-მდის, ლოჟა — 5 სკამი — 3 მ. 50 კაპ. ზოგიერთნი ვაჟბატონნი ხშირად ოჯახობითაც უფასოთ იპარებიან თეატრში. 14-ს ოკდომბერს სწორეთ ასეთი შემთხვევა მოხდა და უბილეთოდ შემოვარდნილს ოქმი შეუდგინეს — ვერც დირექციამ და ვერც დასის ადმინისტრაციამ ვერ დაარწმუნა თავზედ ხელ-აღებული ვაჟბატონი, რომ უბილეთოდ თეატრში შესვლა სამარცხვინოა... ბოლოს ადმინისტრაცია იძულებული გახდა ოქმიც შეედგინა.

დრო არის შევიგნოთ ჩვენი მოვალეობა და. თანაგრძნობას თუ არ გავუწევთ ქართულ თეატრსა და მის მასხიობთ, ხელი მაინც არ უნდა შევუშალოთ.

ნორა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „Русское Слово“-ს № 283-ში დასტამბულია საყურადღებო წერილი ბ-ნ. ნ. ტულუფოვისა შემდეგის სათაურით: «შეიძლება-და მოცდა?» პატივცემული ავტორი ეხება ამ წერილში რუსეთის დღევანდელ ჭირ-ვარამსა, ხალხის სიბნელეს, ხალხის გაუნათლებლობას რუსეთში.

„დიდი ხანია გგრძნობთ, რომ აუცილებელი საჭიროებაა,—ამბობს იგი,—შემოღებულ იქმნას საერთო სწავლება, ფართო გზა მიეცეს სწავლა-ცოდნის გავრცელებას ხ[ალ]ხში. აგერ 10—15 წელიწადია მოწინავე მწერლობა მუდამ ამაზე ლაპარაკობს. ამ ბოლო დროს ხომ ერთობ დაჟინებით სჯა ბაასობენ ამ საგნის შესახებ. აღიძრა კითხვა, დაარსდეს განსაკუთრებითი თანხა საერო განათლებისათვის. ცხადია, ამ ბოლო ჟამს მომხდარი ამბები, როგორც შიგნით, ისე შორეულ აღმოსავლეთის განაპირაზე, თვალსაჩინოთ გვამცნევს, რა საზარალოა ერის უვიცობა, რა ძვირად გვიჯდება ჩვენი დაქვეითება.

«მაგრამ, დავიჯეროთ ასე ძალუმად ჩამოვრჩით? აქ გაზვიადებული ხომ არა არის-რა? აბა, მაშ, მივმართოთ ციფრებსა. ეს გულ-ცივი და პირუთვნელი მოწმენი თვალსაჩინოდ და ბეჯითად გვიჩვენებენ საქმის ნამდვილ უთვა-მგომარეობასა. დავიწყოთ შედარებით.

«იმ დროს, როცა შეერთებულ ამერიკის შტატებში განათლების მაჩვენებლის რაცხვი 23, საქსონიაში—21, გერმანიაში —19, ინგლისში – 16, საფრანგეთში —15, ნიდერლანდიაში—14, ჩვენში კი მხოლოდ 33. სხვა სიტყვებით გამოვხატოთ: იმ დროს, როდესაც ამერიკაში თვითეულ 100 სულზე სკოლაში სწავლობს 23 კაცი, ჩვენში კი 3, და მხოლოდ ზოგიერთს ერთობ ბედნიერს ადგილებში 4. გასაოცარი სხვაობაა და ჩვენის მ[ამ]ულის თავმოყვარეობისათვის აუცილებლად შეურაცხმყოფელი.

„...რც ვიცით, ცოტა უმჯობესად არის ს[კ]ოლის საქმე დაყენებული იმ გუბერნიებში, სადაც ერობაა შემოღებული. მაგრამ, ასე აშინჯე, აქაც კი სანატრელად არ მიდის საქმე. მაგალითად, ერობის 34 გუბერნია დღევანდლამდე უსწავლელად დარჩენილია 2.941,880 ბავშვი სასკოლო წლოვანობისა, რომელთათვისაც საჭიროა გაიმართოს 58,838 ახალი სკოლა.

იმ გუბერნიებში ხომ, სადაც ერობა არ არის, სურათი უფრო შავ-ბნელია. მარტო 9 სამხრეთ-დასავლეთის გუბერნიებში უსწავლელად დარჩენილია 1.0?7,927 ბავშვი. ვარშავის ოლქის სოფლებში სკოლის გარე დარჩენილია 72% სასკოლო წლოვანობის ბავშვი. არხანგელსკის, ასტრახნის, ორენბურგის და დონის ოლქში უსწავლელად დარჩენილია 283,522 კაცი. სამხრეთ კავკასიის ოთხს გუბერნიის სწავლის მაჩვენებელია 0,7—0,8 (ათასზე). შუა-აზიის სოფლებში 10,000 კაციდან სწავლობს სამი, ხოლო ათას ქალიდან—ერთი.

„შემაწუხებელი ციფრებია! მთელი მილიონები ბავშვებისა დარჩენილ არიან მსხვერპლად სიბნელისა და უვიცობისა. მილიონი ხალხნი გამოდიან ცხოვრებაში და არა აქვთ არავითარიმე აზრი და ცნობა ღვთისა, კეთილისა და ბოროტისა, პატიოსნებისა! რა მშვენიერი ნიადაგია გასავრცელებლად უოვლნაირის ცრუ-რწმენისა, უგვანის აზრებისა და ერის უვიცობის უოვლნაირ თანამგზავრისა! იქნება, ქალაქები მაინც ბედნიერნი იყვნენ ამ შემთხვევაში? სამწუხაროდ, აქაც იგივეა. საიმპერატორო ეს კერძო-ეკონომიურ საზოგადოების აღწერილებით, რომელიც ამ ერთის წლის წინად მოახდინეს, რუსეთში დღეს-დღეობით იპოვება კიდევ 27 ქალაქი, რომელთაც არც ერთი სკოლა არ მოეძევებათ.

ციფირებს რომ გამოვუდგეთ, შორს წაგვიყვანსო, განაგრძობს ავტორი წერილისა. რაც ვსთქვით, ესეც საკმარისია საქმის გასაცნობადაო. თვალ-გადუწვდენელი ასპარეზი იშლება ჩვენს წინ სამოქმედოდ. რამოდენა ძალ-ღონე, რამდენი საშუალებაა საჭირო, რომ ეს ფესვებ გამდგარი, ეს უბოროტესი მტერი--ერის უვიცობა—დავამარცხოთ. დასავლეთი და, მხოლოდ ამ ჟამად, როგორც აღმოჩნდა, აღმოსავლეთიც, აღარ იცდიან და მიისწრაფიან პროგრესის გზითაო. ჩვენი ერთად ერთი მხსნელი ამ მტრის ბრჭყალებიდან არის საერთო, ხელჩაკიდებული მთავრობასთან ერთად მუშაობა. ყველამ უნდა შესწიროს მსხვერპლად ამ წმინდა საქმესა: ცოდნა, შრომა, საშუალება, ხოლო ძალიან ჩქარა, ცდა აღარ შეიძლებაო.

«სტატისტიკა გვაჩვენებს, იმ ქვეყნებს, რომელნიც ბევრს ხარჯავენ განათლებისათვის, უმცირდებათ ხარჯები საპყრობილეთათვის. განათლების გაძლიერებას მოსდევს ავკაცობის შემცირება. ეხლა ეს შეურყეველ სოციალურ კანონად არის მიჩნეული. ტყუილად არ არის ნათქვამი: «ვინც სკოლას აფუძნებს, ის საპყრობილეს ჰკეტავსო». ამიტომ მოცდა აღარ შეიძლებაო,—ამით ათავებს ბ. ტულუფოვი თვისს წერილსა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

16 ოკდომბერი.

**ლონდონი.** (რეიტერი). თავის სიტყვაში ბალფურმა, სხვათა შორის, იმედი გამოსთქვა: აღმოაჩენენ საშუალებას, რომ უდიდესი უბედურება—ორ ევროპიელ ხალხთა შორის გამწვავებული ომი —თავიდან აიცდინონ. თავდებად დავდგები, თუ მოვახერხეთ ამ უბედურების აცდენა, ეს იმგვარად მოხდება, რომ შებღალული არ იქნება ინგლისის ღირსება და არც პატიოსნება დიდის იმპერიის მონარქიისა. ამ იმპერიასთან კინაღამ შეტაკება მოგვიხდა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ჩვენ შორის მეგობრული განწყობილება არ დაირღვევა და არ მოისპობაო. ბალფურის აზრით, ხელმწიფე იმპერატორმა უკვე დაამტკიცა, რომ იგი განათლებული მსაჯულია და იცის, როგორ უნდა გადაწყდეს საქმე, რომელიც ორ სახელმწიფოს შეეხება. ინგლისის მთავრობა სხვას არ მოსთხოვს იმას, რის ასრულებასაც თვითონ ვერ შეიძლებს ამგვარსავე შემთხვევაში. ინგლისს სურვილი არა ჰქონია, რუსეთის გაჭირვებულ მდგომარეობით ესარგებლნა, რათა მეტი მოეთხოვა რუსეთისაგან. ინგლისმა მიჰმართა იმ პრინციპს, რომელიც საფუძვლად უნდა დაედვას ხალხთა შორის კეთილ განწყობილებას. ინგლისის მოწოდებამ ამაოდ არ ჩაიარა. შესაძლებელი კი იყო, საქმე სხვა ნაირად დატრიალებულიყო. რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის ბრძნულის წინდახედულობის მეოხებით ამ საქმეს კეთილი შედეგი მოჰყვა. ორივე მხარე დაეთანხმება განაჩენს განსაკუთრებულ სამედიატორო სამსჯავროსას, რომელიც უნდა დაარსდეს ჰააგის კონვენციის თანახმად. რუსეთის მთავრობამ პირობა მოგვცა, გამოვიძიებ ამ საქმესაო და ბძანება გასცა, რომ შემდეგში ამგვარი შემთხვევა აღარ განმეორდეს. პრინციპიალურად დასთანხმდნენ წინადადებაზე იმის შესახებ, რომ საკამო საგნები გამომძიებელ კომისიას გადაეცეს გადასაწყვეტად; ეს ს...ანი დაწვრილებით არ არის შემუშავებული, ფიქრობენ კი, რომ ჰააგის სამშვიდობო კონფერენციის დადგენილებანი საკმაო საფუძველი იქნება ამ საქმის გამოსაძიებლადაო.

17 ოკდომბერი

**ბერლინი.** 14 ოკდომბერი, «ბერლინერ ტაგებლატ»-ი ამბობს, ზღაპარია როჟდესტვენსკის განცხადება იმის შესახებ, ვითომც გულის ახლოს იაპონიის ნაღმიანი გემები იყვნენო.

**ლონდონი** (რეიტერი), 15 ოკდომბერი. ბალფურმა სიტყვა წარმოსთქვა სოუტჰამპტონში და განაცხადა, მომხდარმა ამბავმა ძლიერ აალელვა ინგლისის ყველა ქვეშევრდომი და დედა-მიწის ყველა ხალხნი, რომელნიც ინგლისურად ლაპარაკობენო. ბალფურის აზრით, გასულ პარასკევს მომხდარი შემთხვევა არ გამოიწვევს დიდ ნაციონალურ ომს, რომელიც ზოგჯერ საჭირო ხდება, მაგრამ სამწუხარო შედეგი მოსდევს და აბრკოლებს ცივილიზაციას და ჰუმანიურ პროგრესსაო. დიდ სახელმწიფოთა შორის ბრძოლა ყოველთვის საშიშარი ხდებოდა სანეიტრალო სახელმწიფოთათვის, მაგრამ ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს ბრძოლა საშიში გახდებოდა მშვიდობიან მუშებისათვისაც, რომელთაც მუშაობის დროს ყუმბარებს დაუშენდნენ და დაღუპავდნენ. ეს ამბავი ორნაირად არის აწერილი, ამიტომ საქმე საერთაშორისო პირუთვნელ გამომძიებელთ უნდა გადაეცესთ. ეს გამოძიება, რომელსაც ხელმწიფე იმპერატორი თანაგრძნობით მიეგება, სიმართლეს აღმოაჩენსო. ბალფური შესაძლოდ სცნობს გამოაცხადოს, რომ გაჭირვება თავიდან აიცდინეს და ომი აღარ მოხდებაო. რუსეთმა უღრმესი მწუხარება გამოაცხადა და ხელმწიფე იმპერატორმა ამის შესახებ დეპეშა გაუგზავნა მეფეს; რუსეთის მთავრობამ პირობა დასდო უხვად ზღოს ზარალი. გამოძიებას მოახდენენ. რუსეთისა და ინგლისის მთავრობანი შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ, ჰააგის კონფერენციის თანახმად, ეს საქმე საერთაშორისო კომისიას გადაეცეს გამოსარკვევად.

ოფიციალურ გაზეთში გამოცხადებულია დეკრეტი, რომელშიაც განმარტებულია სანეიტრალო სახელმწიფოთა ვალდებულებანი და განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული იმაზე, თუ როგორ უნდა აშენდეს და შეიარაღდეს სამხედრო გემები, როგორ უნდა დაიქირავონ მეზღვაურნი იმ გემებისათვის, რომელებმაც დახმარება უნდა გაუწიონ მებრძოლთ, რა წესით უნდა სწარმოებდეს ამ გემთა მიმოსვლა და სხვა. ამ წესების დამრღვევთ ჯარიმას გადაახდევინებენ და სატუსაღოში დაამწყვდევენ.

**პეტერბურგი.** გამოეცხადა უმაღლესი მადლობა ესტლიანდიის გუბერნატორს 27 სეკდემბერს რეველში, ხელმწიფე იმპერატორის მოგზაურობის დროს, ჩინებულად დაცულ წესიერებისათვის.—ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა, მიეცესთ ოჯახის პატრონთა ჯამაგირის ერთი ნაწილი იმ ოჯახებს, რომელთა პატრონნიც, საზღვაო უწყების სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი, მოკლულ იქმნენ ჭრილობისაგან ან ავადმყოფობისაგან გარდაიცვალნენ ბრძოლის ველზე.

**ტოკიო,** 16 ოკდომბერი (რეიტერი). ოფიციალურად განმარტებულია, რომ ომის დაწყებიდან იაპონიას არ შეუკვეთნია ინგლისისათვის და არც უყიდნია ინგლისისაგან არც ერთი ნაღმიანი გემი.

**ჩიფუ,** 16 ოკდომბერი (რეიტერი). რუსეთის კონსული აცხადებს, მეფის მოდგილის გამოწვევა იმ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ განზრახვა აქვთ რჩევა ჰკითხონ მანჯურიაში ომის ახალის გემის შესამუშავებლადაო.

**ხარბინი** (სააგ. საკუთ. კორ.), 6 ოკდომბერი. პორტ-არტურიდან „ნოვი კრაი“-ს რედაქტორის წერილია მიღებული, რომელშიაც იგი იუწყება, რედაქციის წევრები ძლიერ კარგად არიან და გულ-მოდგინედ მუშაობენო. წერილში ნათქვამია აგრეთვე, დარწმუნებულნი ვართ, რომ მალე, ბალტიის ესკადრის მოსვლისათანავე, იაპონელები პორტ-არტურს ალყას ახსნიანო. აქ მოიყვანეს იაპონელი ტყვეები და მოიტანეს იარაღი. უკანასკნელ წვიმების გამო ხარბინის ქუჩები ტალახითაა სავსე, ეტლები და ცხენები ტალახში იფლობოდნენ. მეეტლეები ცხენებს ეტლიდან ხსნიდნენ, უნაგირს ადგამდნენ და ცხენით მიჰყავდათ მგზავრები. ყინვების მიზეზით გზებზე მიმოსვლა შესაძლებელი გახდა.

**დაშიაკუ.** (საკუთ. კორესპ.). 16 ოკდომბერს იაპონელები მოქმედებდნენ მოწინავე სადარაჯოებზე სოფელ ცონსისა და პუცაძასთან. სამარის პოლკის მზვერავთა რაზმი მთელს დღეს ებრძოდა იაპონელთა ქვეითა ჯარის ერთ პოლკს. დაღამებისას იაპონელებმა წინ გაგზავნეს დიდი მაშველი ჯარი და ხელში ჩაიგდეს სოფელი ცეტსინი, რომელიც ცეცხლმა გაანადგურა.

**ხილზრადი.** სერბიის მეფე სოფიას წაავა. მეფეს დიდი ამალა ახლავს. პრესსა კეთილის სურვილით ეგებება მეფეს, თუმცა თავდაჭერილად მსჯელობს და იმედი არა ვქვს, რომ მოგზაურობას რაიმე პრაქტიკული შედეგი მოჰყვეს.

**ბელგრადი.** 16 ოკდომბერს მეფე და მინისტრები—გრუიჩი და პაშიჩი—სოფიას წავიდნენ.

**პარიჟი.** კომბმა მთავრობის წინადადება განმარტა იმ კომისიაში, რომელიც იკვლევს საგანს სახელმწიფოსა და ეკკლესიის განცალკევებისას, და გამოაცხადა, ეს განცალკევება საჭირო არის, რადგან პაპი მუდამ არღვევს კონკორდატსაო. მთელი სამინისტრო თანახმაა, რომ ეკლესია და სახელმწიფო უნდა განცალკევებულ იქმნასო,

**განჯულინი.** (საკ. კორესპ.). წუხანდელმა თარეშმა აღმოაჩინა, რომ შახეპუს დაცლის შემდეგ, იაპონელებმა ძალიან გაამაგრეს ლამატუნი, მანგაიპუ, ჩანლინფუ და ბეზიმიანნი. ტყვე იაპონელნი ირწმუნებიან, დანარჩენნი რომ დარწმუნებულნი იყვნენ, თუ რამდენად უსაფუძვლოა რუსების მტყუნება სიმკაცრეში, მაშინ ტყვეთა რიცხვი გაათდებოდაო.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** საბჭომ დაადგინა, დააფუძნოს სასწავლებლეში კუროპატკინის და სტესელის სახელზედ სტიპენდიები. მხედართა საჭიროებისათვის გაუგზავნეს კუროპატკინს 5 ათასი მანეთი ქალაქის საშუალებიდან და ორი ათასიც ძმათა ბაშკიროვების შეწირული.

**ჰიბრალტარი** (რეიტერი). იუწყებიან, რუსის ესკადრა გამოჩნდაო. ჯავშნიანმა გემმა «ილლუსტრიუს»-მა და ნაღმოსანმა № 93 ღუზა აიხსნეს. ოთხმა რუსის კონტრნაღმოსანმა და ერთმა ნახშირის გემმა გაიარეს აღმოსავლეთისაკენ.

**ტანჟერი.** (ჰავასი). რუსის ესკადრის ორთავე რაზმი, 21 გემიდან შემდგარი, იმათგან 10 ჯავშნიანი გემი და კრეისერები და შვიდი ნაღმოსანი, ამ ჟამად შეაერთეს ადმირალ ფელკერზამისა და ენკვისტის უფროსობითა. ის აფიცერნი, რომელნიც ნაპირს გადავიდნენ, ძალიან ფრთხილად არიან ამბების გამოულავნებაში. საფრანგეთის საავადმყოფოში გადაიყვანეს რუსის მღვდელი, რომელსაც უნდა მოსჭრან ხელი, რომელიც მაშინის თვლებში მოჰყოლია.

---

ძინონ წმინდა და ფაქიზ ქართულის მცოდნე თანამშრომელნი და ერიდონ არა ქართლის ენით წერასა, რადგანაც ქართლის ქართული არა თუ სწორედ წმინდა და ფაქიზი ქართულია, არამედ ჩვენის მწერლობისა და კულტურის ერთობის სახელით, სავალდებულოც უნდა იყოს ყველასათვის, მეტადრე მოზარდ თაობისათვის.

***

არა მგონია, საყმაწვილო ჟურნალების მოღვაწეთა აზრით, მეტი იყოს სიმღერა-გალობის სწავლება მათის მკითხველ ყმაწვილებისათვის, რადგანაც ადამიანის ბუნებას, არა მარტო გონება შეიქმს, არამედ გრძნობაც, რომლის აღმზრდელი, განმავითარებელი და განმაფაქიზებელია მუსიკა. სწორედ ჩვენც ასე ვფიქრობთ და მის საჭიროებას ყმაწვილის აღზრდაში საპატიო ადგილს ვაძლევთ, მაგრამ ნუ დაიჯერებ, მკითხველო, ჩვენს ქვეყანაში, სადაც ხალხი და ფრინველნი გალობაში ერთმანერთს ეჯიბრებიან, ყველა ჩვენი აზრისა იყო. ზოგიერთე, ჰოი საკვირველებავ, განათლებულის აზრით, თურმე სრულიად საჭირო არ ყოფილა მუსიკის სწავლება ყმაწვილ-თაობისთვის და მისი გავრცელება ხალხში. სხვა არა იყოს რა, ვიცით, თუ პირუტყვებზე მუსიკას რა დიდი გავლენა აქვს და მათ შორის ჩვენი დიდყურა ვირი, დინჯი და ჰკუა-ძვირი, თუმცა დამფასებელი ვერ არის ბულბულის გალობისა, რამოდენადმე მოყვარულია მაინც სიმღერისა, და კერძოდ მამლის ყივილისა. ამ რიგად დღეს გულიდან გადგვარდნია სამუსიკო ხელოვნების ცოდნის და გავრცელების საქმე და ისე არას დავდევთ, როგორც ერთის ვიგინდარას ბედსა. ძველი საბერძნეთი ხომ აღმერთებდა მუსიკას! განათლებულმა ევროპამ ისიც-კი მოახერხა, რომ ეს ხელოვნება სახალხო სამკვიდრებელად გახადა ცოდნითაც და საქმითაც.

ეს მათქმევინა ზოგიერთების საქციელმა, როცა ტფილისის ქართული საფილარმონიო საზოგადოების წესდებას გვერდი აუქციეს და თანაგრძნობაც არ განუცხადეს უბრალო ხელის მოწერითაც კი. ეხლა, როგორც გაზეთებმა გვაუწყეს, საზოგადოების წესდება უმაღლეს მთავრობას კიდეც დაუმტკიცებია და ამ საზოგადოების დაარსების მოთავე კაცებს ჰმართებსთ, წესდება ჩაჰბარდებათ თუ არა, გაზეთში დაბეჭდონ და გაზეთისავე საშუალებით გამოაცხადონ პროგრამა პირველის კრების განსახილველის საგნებისა და აცნობონ პირველის საზოგადო კრების ამბავი, როგორც საზოგადოების დამფუძნებელთ, ისე ყველა თანამგრძნობელთ, ხოლო მუსიკის მოყვარე კერძო კაცნი და სახლობანი ბარათებითაც მოიწვიონ, „რათა საზოგადოების გამგებლებად ღირსეულნი იქმნენ ამორჩეულნი.

კლდიაძე.

**ლონდონი.** (რეიტერი). კუროკის უმთავრეს ბანაკიდან იუწყებიან, 16 ოკდომბერს, ღამის 12 საათზე, რუსებმა სცადეს უკან დაებრუნებინათ გორაკი ვაიტიაშნი, მაგრამ უკუ აქციეს. დაწვრილებით ამბები არ იციან. სიმაგრეები დროებითია. სანგრები ერთობ ღრმა იყო და რუსებმა დაჰკარგეს შიგ 200 კაცამდე, იმათგან 70 დაჭრილ-დახოცილი დასტოვეს სერზე. რამდენი დარჩა მთის ძირს, არ იციან, რადგან იაპონელნი ვერ ჩამოდიან ძირს რუსთაგან განუწყვეტლის სროლისა გამო.

**ვოლოგდა.** ტაძრის წინ გადაუხადეს სავზაო პარაკლისი შორეულ აღმოსავლეთს მიმავალ ჯარის კაცებსა.

18 ოკდომბერი.

**მუკდენი.** (საკ. კორესპ.). ჩვენი ჯარები პოზიციებზედ შეეჩვივნენ სიცივესა, გააკეთეს ბევრი მღვიმეები და აიშენეს მიწური სახლები. სითბო იმათში 8 გრადუსზე ნაკლები არ არის. თითოში ექვს-ექვსი კაცია. ზემოდ დგას კარვები, გაოლიანით დახურული. გახურებული მუშაობაა, აკეთებენ სიმაგრეებსა, იაპონელნი ყოველ დღე გვესვრიან, უნდა შეიტყონ ჩვენი ბატარეიების ბინა.

**ტოკიო.** (რეიტერი). ოფიციალური დეპეშა. 15 ოკდოაბერს, ღამე რუსის მცირე რაზმმა იერიში მიიტანა ვაიტიოშანზე და დაუყოვნებლივ უკუქცეულ იქმნენ. 16 ოკდომბერს ქვეითა ჯარის რაზმი უცებ დაესხა რუსებს ვოუმნიძუმის პარდაპირ. ეს სოფელი რუსების და იაპონელების მოწინავე ჯარების შუა სდევს. რუსები ღამ-ღამობით ხშირად ესხმიან თავს იაპონელთა მოწინავეებსა.

**ჩიფუ.** (რეიტერი). საერთო იერიში პორტ-არტურზე 11 ოკდომბერს დაიწყო. 13 ოკდომბერს იაპონელების ყუმბარებისგან ცეცხლი მოედო უკვამლო თოფის-წამლის საწყობსა. ქალაქის ერთი ნაწილი იწვოდა. 13 ოკდომბერს იაბონელებმა დაიჭირეს ერლუშანის მთების კალთებზე სანგრები და გამაგრებული პოზიცია, რომელიც ფორტს იცავდა.

**ჰიბრალტარი.** (რეიტერი). მობილიზაციის მანევრები გათავდა, ეს იმის მომასწავებელია. რომ შიში აღარ არის ინგლის-რუსეთის საქმეთა გართულებისა.

**ტანჟერი.** (რეიტერი). რუსის ხუთი კონტრ-ნაღმოსანი ზღვაში გავიდა. დანარჩენმა გემებმა რუსის ესკადრისამ სურსათი აიღო და მთელ დღეს ნახშირს უდებს. დღისით რუსის ამირბარმა ნახა სულთანის წარმომადგენელი, რომელმაც დარბაზობა გადუხადა.

**პეტერბურგი.** უქვეშევრდომილესი დეპეშები გენ.-ადიუტ. სტესსელისა 1) 1904 წლის 1 ოკდომბრის თარიღით: „მტერმა 11 დიუმიანის ყუმბარების სროლა დაუწყო ჩრდილოსა და ჩრდილო-აღმოსავლეთის სიმაგრეებსა და თვით ციხეს ამასთანავე თხრილებს იღებს და უახლოვდება ჩვენს კოშკებს. უფრო მოუახლოვდა იმ კოშკს, რომელიც სოფ. უძიანფანის სამხრეთად არის. ზარბაზნებისა და თოფის სროლით, აგრეთვე გმირ მეთოფურთა ციხის გარედ გასვლით ვაიძულებთ მტერს ძალიან ფრთხილად იყოს. ჩვენი ჯარები წინანდებურ გმირულად იბრძვიან, თუმცა ბევრს გაჭირვებას ითმენენ. ბედნიერი ვარ, რომ ყოველსავე ამას მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას. ვითხოვ თქვენს დალოცვასა, ხელმწიფეო და დედა-დედოფლებისასა“. 2) 4 ოკდ. თარიღით: «გუშინ ესე ნაშუადღევის 3 საათზედ იაპონელებმა ძლიერებით დაუშინეს ზარბაზნები ჩვენს სათარ-სანგრებს უფრო ძრიელ ესროდნენ ჩრდილო სიმაგრეებსა და კოშკებს, რომელიც რკინის გზაზე ახლოა. აქ დაიწყეს ზედ-მოსევა, სოფ. პალიჯუანთან, მაგრამ ჩვენ უკუ ვაქციეთ. საღამოს 7 საათზედ ბრძოლა შესწყდა. ღამე ჩვეულებრივი სროლა იყო მხოლოდ. იაპონელთა ზარალი შესამჩნევია. ზემოხსენებულს უქვეშევრდომლესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას».

უქვეშევრდომილესი დეპეშა გენ.-ად. კუროპატკინისა 17 ოკდომბრის თარიღით: «16 ოკდომბრის ღამეს მოხსენება არა მოსულა-რა ბრძოლის თაობაზედ. შემჩნეულ იქმნა ჯარების გადაყვანა მტრის მიერ დასავლეთიდან აღმოსავლეთად. მოდის ცნობანი, რომ იაპონელებს ემატებათ მაშველი ჯარები, როგორც სამხრეთიდან, ისე ფინხუანჩენის მხრიდან. ამ ცნობათა მიხედვით შესაძლოა დავსკვნათ, რომ იაპონელნი ამთავრებენ ჯარების თავ-მოყრას და დარაზმულობას, რათა სატევ ომს შეუდგნენ. დღისით საკმაოდ თბილა, ხოლო ღამ-ღამობით ყინვა 6 გრადუსამდეა. სანიტარული მდგომარეობა ჯარისა კარგია».

დეპეშა გენ.-ლეიტ. სახაროვისა 18 ოკდ. თარიღით: «17 ოკდ. იაპონელთ სცადეს იერიშის მოტანა ჩვენ წინა თხრილებზედ, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ. საღამოს 10 საათზედ, იაპონელებმა ზარბაზნის სროლა დაუწყეს ჩვენის მარჯვენა ფრთედის ზოგიერთს ნაწილს სროლა შესწყდა ნაშუაღამევის 2 საათზედ. საღამოზედვე აღმოჩნდა ზედ-მოსევა იაპონელთა მცირე რაზმისა სოფ. ტუნგოუს სიმაგრეთა წინააღმდეგ. ჩვენმა ზარბაზნებმა სროლა დაუწყეს მტერს.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

15 ოკდომბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 9360 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,25 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | — |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 91⅞ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 89 მყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 415 წ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 319 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 266 წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 89½ ნ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

### საავადმყოფოები:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო,**—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.**—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფას ოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი ჰუტიატ.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---


# განცხადებანი

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
**სამკურნალოში,**
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთ განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიურ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.
ფასი დღე-ღამეში ჰამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან მანეთამდე.

---

**ვკისრულობ**
კორექტურულ საქმეს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველნი მიჰმართონ «ივერიის» რედაქციას, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს. (0—უ—1).

---

გამოვიდა და ისყიდება
**კატალოგი**
წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.
**ფასი 15 კაპ.**
ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვლის (3—3)

---

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში
**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა,
ფასი 70 კაპ.
(2—141—2).

---

გამოვიდა ახალი
**კატალოგი** ...ლაზიის წერა-კითხვის საზოგადოების ...იანთ მოიწიგნებისა. მსურველთ შ... ის მაღაზიებში. თხოულონ უფასოდ ...

---

გამოვიდა და ისყიდება
ახალი წიგნი
**უცხო სიტყვათა ლექსიკონი**
შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.
წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.
ადრესი: книжная торговля Іос. Зах. Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.

---




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**
**„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევის“**
ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს-ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.
იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (0 - 6—15)

---

ს.-პეტერბურგის კომპანია
**„ნადეჟდა“**
ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.
**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| მარითადა თანხა | 1.650.000 მან. |
| სათადარია გო თანხ. | 2.664.808 მან. |

დაზღვევის ოპერაციები.
ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ირხით.
ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟების ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.
დაზღვევას ასრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.
გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.
სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.
ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, დანოვას ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—48)

---

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

**კალოშებისა**
და რეზინის სხვა საქონლისათვის
**უდიდესი ჯილდო**
(Grand prix)
პარიჟის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
**რუსეთ-ამერიკის**
რეზინის მანუფაქტურისას
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს 1860 წელს.




**რეზინის კალოშების** ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ (წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).
ნარდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი
**„ლეოპოლდ ნიეშელლერი“**
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკათერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, **ტფილისს** და ტაშკენტში.
(60—60).